კ-3 კოეფიციენტის ათვისების დენდროლოგიური პროექტი

სამშენებლოდ გამოყენების პირობებში AR1356073 დადგენილი გამწვანების კ-3 = 0.1
პროექტით მიღებული გამწვანების კოეფიციენტი კ-3 = 0.1

საკადასტრო კოდი: 01.17.13.045.090

მიწის ნაკვეთის ფართი: 1907.0 კვ.მ.

მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი,
დოლაბაურის ქუჩა

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

მესაკუთრე: შპს "ჯევიკე ჰოსფითალითი"
ID ნომერი 402073368

კ-3 კოეფიცინეტის საანგარიშო ფართი: 190.7 კვ.მ.

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი:
2022 წლის 1 მარტი

მოვლა პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი:
შიშუ პალ ბუდრაკ 01092001279

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა:

5 წელი



დამკვეთი:
შპს "ჯევიკე ჰოსფითალითი"
ID ნომერი 402073368

შემსრულებელი:
შპს "ჯევიკე ჰოსფითალითი"
ID ნომერი 402073368


486050.000
დოლაბაურის I ქ.
ავტოსადგომის რეჯერვუარის ადგილი
რეგულირების ხაზი
01.17.13.045.066
01.17.13.045.065
ვაშლოვანი
9.5
14.4
01.01.14
გზის ღერძული ხაზი
ბარათაშვილის სახ. მარცხენა სანაპირო
ბარათაშვილის სახ. მარცხენა სანა
ვაშლოვანი
დანგრეული
ბეტონირებული ტროტუარი
ბეტონირებული ტროტუარი
ბეტონირებული ტროტუარი

დენდროლოგიური პროექტი

თარიღი: 14/01/2019 წ.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, დოლაბაურის ქუჩა
საკადასტრო კოდი: 01.17.13.045.090
დამკვეთი: შპს "ჯევიკე ჰოსფითალითი" ID ნომერი 402073368

ზოგადი ნაწილი

ქალაქის ლანდშაფტში განსაკუთრებლი ადგილი უჭირავს მწვანე ნარგავებს, რომლებიც განიხილებიან როგორც განუყოფელი და უმნიშნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ქალაქის დაგეგმარების და კეთილმოწყობის საქმეში.

ნარგავების დიდი მასივების (პარკბი და ტყეპარკები) გვერდით, გამწვანების სისტემის შემადგენლობაში შედიან ნარგავები: საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღების, სკოლების, დაწესებულებების, სკვერების და სხვათა მიმდებარედ. სწორედ ეს ნარგაობები შეადგენენ ქალაქის გამწვანების ძირითად შემადგენელ ნაწილს, ისინი მრავალმხრივ განსაზღვრავენ გარემო პირობებსდა ქალაქის იერსახეს. გამწვანების სრულყოფილი სისტემის შექმნა კომპლექსური პროცესია, დაკავშირებული მრავალ ქალქამშენებლობის, არქიტექტურული, კულტურულ-შემეცნებითი, მხატვრულ, აგროტექნიკურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებთან.

ქალაქის განაშენიანებაში მწვანე ნარგავების როლი ერთობ დიდია, რომელიც, ზემოქმედებას ახდენს ჰაერის შემადგენლობაზე, სისუფთავესა და იონიზაციის პროცესზე, ხელს უწყობს ქალაქის გარემოს გაჯანსაღებას, აუმჯობესებს მიკროკლიმატს, ასუსტებს ძლიერი ქარების უარყოფით ზემოქმედებას, წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას ქალაქში არსებული ხმაურის წინააღმდეგ, მონაწილეობს ქალაქის საინჟინრო კეთილმოწყობასა და მელიორაცილულ საკითხებში, წარმოადგენენ ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას, ხელს უწყობენ ტერიტორიების არქიტექტურულ-სამშენებლო ორგანიზებას, ასევე ამაღლებენ ქალაქის მხატვრულ ღირებულებას.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში მისამართი საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, დოლაბაურის ქუჩა, საკადასტრო კოდი: 01.17.13.045.090 მთლიანი ფართობი შეადგენს 1907 კვმ–ს, ხოლო კ3 ფართობი შეადგენს 190.7 კვ.მ–ს. სადაც განხორციელდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვალის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან ხეების დარგვას და მდელოს ტიპის მოლის მოწყობა, 190.7 კვ.მ.-ზე.

პროექტით დასარგავი ხეების ნერგების ჩამონათვალი:
ირმის რქა - 6 ცალი 3.5 მეტრიანი ნერგი
ხე ტიტა - 3 ცალი 3.5 მეტრიანი ნერგი
ნეკერჩხალი ქორაფი - 3 ცალი 3.5 მეტრიანი ნერგი
ჰიმალაის კედარი - 2 ცალი 3.5 მეტრიანი ნერგი

ირმის რქა

ირმის რქა (ლათ. Lagerstroemia indica) — დეკორატიული მცენარე ცოცხმაგარასებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან დაბალი ხეა. აქვს ქოლგისებრი ვარჯი; ღია მწვანე, პრიალა. ელიფსური ან წაგრძელებულ-უკუკვერცხისებრი ფოთოლი; ვარდისფერი, წითელი ან მეწამული რთული ყვავილი. მცენარე ნელა იზრდება, ყინვაგამძლეა, ყველანაირ ნიადაგს ეგუება, მაგრამ კარგად ხაროზს შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკულ ზონაში ეწერ ნიადაგებზე, ყვავილობს ზაფხულის პერიოდში. მრავლდება თესლითა და კალმით. გავრცელებულია ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე, აზერბაიჯანში, შუა აზიის სამხრეთ რაიონებში, საქართველოში. კულტურაში არსებობს მისი სხვადასხვა დეკორატიული ფორმა.

ხე ტიტა

ხე ტიტა (Liriodendron Tulipifera)
. ხე ტიტა ერთ-ერთი დიდი ზომის ფოთოლმცვენი ხეა სხვა დეკორატიულ ხეებს შორის...მისი საშუალო სიმაღლე 25-30 მ.-ს აღწევს, ხოლო გარშემოწერილობა 3 მ.-ს.
. ყვავილი მართლაც რომ ტიტას მოჰგავს, სახელწოდებაც ხომ სწორედ ამ მსგავსების გამო დაიმსახურა ყვავილობა ორ თვემდე გრძელდება და რაც ძალიან საინტერესოა, მისი სურნელი ახლად დაკრეფილი ქორფა კიტრის სურნელს მოგაგონებთ
. ხე ტიტა მხცოვან ხედ ითვლება, ის დაახლოებით 500 წლამდე ცოცხლობს...არის ყინვაგამძლე, უძლებს -30-35 გრადუსს...
ის საკმაოდ დიდ პოპულარობით სარგებლობს ლანდშაფტის დიზაინერებში, განსაკუთრებით იხდენს დიდი ზომის ფართობებს... მისი გამოსახულება სამი ქვეყნის სახელმწიფო გერბზეა გამოსახული...

ნეკერჩხალი-ქორაფი

ნეკერჩხალი (ლათ. Acer) — მცენარეთა გვარი ნეკერჩხლისებრთა ოჯახისა. 5-40 მ სიმაღლის ერთ-, ორ- ან მრავალსახლიანი (პოლიგამური) ფოთოლმცვივანი ხეები ან ბუჩქებია. შეიცავს 150-მდე სახეობას, რომელიც გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკასა და ზონდის არქიპელაგის კუნძულებზე, ზომიერი და სუბტროპიკული ჰავის პირობებში, ნოყიერ და დაწრეტილ ნიადაგებზე. ზოგი ეგუება ნიადაგის სუსტ დამლაშებას. უმეტესად მეზოფილური და ყინვაგამძლე მცენარეებია, ნაწილობრივ — ქსეროფიტები. კავკასიაში 11 სახეობაა, მათგან საქართველოში — 9. ჩვენში ნეკერჩხალი გავრცელებულია დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე, უმრავლესობა — მთის შუა და ზემო სარტყლამდე. მხოლოდ კავკასიის ენდემი — მაღალმთის ბოყვი (Acer trautvetteri) — ქმნის სუბალპურ სარტყელში ნაირბალახოვან მეჩხერ კორომებს, დანარჩენი კი შერეულია ფოთლოვან და წიწვოვან (უფრო ნაკლებად) ტყეებში. მეორე ენდემი სოსნოვსკის ნეკერჩხალი (Acer sosnowskyi) იზრდება მხოლოდ აფხაზეთში კირქვიანებზე. ქართული ნეკერჩხალი (Acer ibericum) — მესამე კავკასიის ენდემი, რომელიც საქართველოს წითელ წიგნშია არის შესული. სახეობებისა (ლეკა, თათრული ნეკერჩხალი, მთის და მაღალმთის ბოყვები) გამოსადეგია სატყეო და საცავი ნარგევებისათვის, ბაღ-პარკების გასაფორმებლად (შემოდგომაზე ძალზე ლამაზია, მათი ნაირფერი ფოთოლი და ნაყოფი); ზოგი მათგანი

შეიცავს მრავალ მაღურ ფორმას. საქართველოში ინტროდუცირებული სახეობებიდან ამ მხრივ პერსპექტიულია ჩრდილოეთ ამერიკის წითელი ნეკერჩხალი (Acer rubrum), შაქრის ნეკერჩხალი (Acer saccharum), იფანფოთოლა ნეკერჩხალი (Acer negundo) და სხვა. აღმოსავლეთ აზიური ნეკერჩხალი „გინალა" (Acer ginnala), თათისებრი ნეკერჩხალი (Acer palmatum) და სხვა. ნეკერჩხალის მერქანი მკვრივი, გამძლე და მაგარია, კარგად პრიალდება. იყენებენ ავეჯის, სპორტის ნივთიერების, მუსიკალური საკრავებისა და სხვათა დასამზადებლად. ზოგიერთი სახეობა შეიცავს „ნეკერჩხლის შაქარს". ფოთლებისაგან მიიღება საღებავი. თაფლოვანი მცენარეებია. ამრავლებენ თესლით, ბაღურ ჯიშებს — მყნობით. კალმები ძნელად ფესვიანდება. უხვად ივითარებს ძირკვის ამონაყარს.

ჰიმალაიური კედარი

ჰიმალაიური კედარი (*Cedrus deodara*) — 50 მეტრი სიმაღლის კენწეროგადახრილი მცენარეა. სამშობლო: ჰიმალაის მთები (1050–3600მ–ზე). საბჭოთა კავშირშიპირველად შემოიტანეს 1842 წელს, ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში. გავრცელებულია ყირიმში, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში და სხვ.

ჰიმალაიური კედარი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ინტენსიური ზრდით ხასიათდება. ასევე აღსანიშნავია, რომ არაიშვიათად გვხვდება ყველგან მისი წვერხმელი ეგზემპლარები. ჰიმალაიური კედარი დეკორატიულია, ძირითადად გამოიყენება ქალაქებისა და დასახლებული სოფლების გასამწვენებლად, პარკებში — სოლიტერად, ჯგუფური ნარგავების მოსაწყობად და ხეივნების გასაშენებლად. იტანს კრეჭას.

მწვანე ნარგავების გაშენების აგროტექნიკა

• *ნიადაგის მომზადება*

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება
უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

ნიადაგის კვლევის შედეგები:

ნიადაგის ტიპი - მდელოს ყავისფერი ნიადაგი
ნიადაგის მექანიკური შემადგენლობა - მძიმე თიხნარი ნიადაგი
კარბონატობა $CaCO_3$ - 6 -15%
ნიადაგის არის რექაცია pH – 7,5 -7,8
მოძრაობის ფორმები - საკვები ელემენტები:
1. ჰიდროლიზური აზოტი A -3,2 მგ- 100 გრ ნიადაგში;
2. ხსნადი ფოსფორი P_2O_5 -3,5 მგ- 100 გრ ნიადაგში;
3. გაცვლითი კალიუმი K_2O -22-27 მგ -100 გრ ნიადაგში.
არსებულ ნიადაგზე შესაძლებელია ხე–მცენარეების დარგვა–გადარგვა.

• *ხე–მცენარის დარგვა:*

1. დასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,4 – 0,6 მ., ხოლო სიღრმე 0,3–0,5 მ.;
2. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და
დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
3. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
4. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 – 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 – 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
5. კომი უნდა განთავისუფლდეს შესაფუთი მასალისაგან;
6. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
7. ხის-ბუჩქის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
8. ხის-ბუჩქის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან;
9. სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება;
10. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
11. ხის-ბუჩქის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

• *ხეების დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:*

1. ხეების მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა–გაფხვიერება–განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე

უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;

6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების
მიხედვით;
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
8. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ – დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
9. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა–ფორმირების სამუშაოები.

მორწყვის ტექნიკა

მორწყვის ტექნიკისათვის დამახასიათებელია თავისებურებები. მერქნიანი მცენარეების ფესვთა სისტემა განთავსებულია ნიადაგის ფენაში - 60 -70 სმ სისქეში. აუცილებელია მიღწეულის იყოს, რომ ტენიანობის შემცველობა ფესვთა სისტემის განლაგების ფენაში შეადგენდეს კრიტიკული ტენტევადობის 70-80%-ს.
მორწყვის ფართობი უნდა იყოს არანაკლები ფართობი ვარჯის პროექტისა, რიღრმე კი- არა ნაკლებ 60-70 სმ.წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ოპტიმალური ტენიანობის
შენარჩუნებისათვის, ხის გარშემოჯამების 1მ$_2$ -ზე,იწოდება „მორწყვის ნორმად", რომელიც დამოკიდებულია ნიადაგში ტენის მარაგის დეფიციტისა და ნიადაგის სახეზე.
რწყვის ნორმის გამოანგარიება ხდება შემდეგი ფორმულით: A=Б (В –Г) D
სადაც: A - სარწყავი ნორმა მ$_3$ წყალი 1მ$_2$ ფართობზე;
Б - რწყვის წყალტევადობის ზღვარი %- ში ზღვრული სარწყავი ტენტევადობიდან;
Г - ნიადაგის ტენიანობა % -ში ზღვრული სარწყავი ტენტევადობიდან;
D - ნიადაგის ფენის სიღრმე მ - ში.
აღნიშნული ფორმულით სარწყავი ფორმა 1 - ხისათვის, რომილის სიმაღლეა 5მ, ჯამის სიდიდე 2X2. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში: В -22% (0,22); В -80% (0,8); Г – 40%(0,4); D – 0,7 მ.
სარწყავი ნორმა 1მ$_2$ -ჯამზე შეადგენს: A=0.22(0.8-0.4)x 0.7=0,0616მ$_3$ან 60ლ. ერთი ხის მორწყვის ნორმა,იმის შესაბამისად, რომ ფესვების სისტემით დაკავებული ფართობი 6,25მ$_2$- ია (2,5x2.5მ), შეადგენს 375 ლიტრს
განსაკუთრებით ინტენსიური რწყვაა სჭირო მცენარეებზე ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს.ამიტომ ინტენსიური მორწყვა უნდა დაიწყოს მაისის თვიდან.

• *მოლის მოწყობა და მოვლა*

ბალახისგან მოწყობილ მოლს გარდა დეკორატიული დანიშნულებისა სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულებაც აქვს,იგი წმენდს, აგრილებს და ზომიერს ხდის ჰაერს, ხოლო
ქუჩებში - ხელს უწყობს მერქნიანი მცენარეების ნორმალურს ზრდა-განვითარებას. დაბუჩქული ბალახი, რომელსაც ღრმად აქვს მიწაში გადადგმული ფესვები, ნიადაგიდან

იწოვს და ფოთლების საშუალებით დიდი რაოდენობით აორთქლებას წყალს, რაც აგრილებს და ასუფთავებს ჰაერს.

მოლის კლასიფიკაცია

მოლის დანიშნულებისა და ხანგრძლივობის მიხედვით
(ერთწლიანი,მრავალწლიანი) ყოფენ ორი ძირითად ჯგუფად: დეკორატიულ და სპორტულ მოლებად. დეკორატიულ მოლს კი, თავის მხრივ, ყოფენ: ა)პარტერის

(ყვავილნარებთან ან ცალკე), ბ) ჩვეულებრივ, ბაღებში, ქუჩებსა და სკვერებში არსებულს
და გ)მდელოს ტიპის მოლს - პარკებსა და ტყეპარკებში არსებულს.
ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ხდება მდელოს ტიპის მოლის მოწყობა.

მოლის მცენარეთა ასორტიმენტი

ადგილობრივი ბალახები ეგზოტიკურთან შედარებით უფრო გამძლე, ლამაზია და ხანგრძლივად ცოცლობს, ფოთოლი ნაზი აქვს და ხშირი იზრდება, კარგად იბუჩქება და
1მ$_2$- ზე მეტ ყლორტებს ივითარებს. კრეჭის ან თიბვის შემდეგ კარგად ბარტყობს, სწრაფად
ივითარებს კვირტს და ახალგაზრდა, ნაზი, ნორჩი, მწვანე საფარით, მოკლედ ხანში ქმნის
მოლს. კარგად იტანს ფეხით გათელვას, გვალვა და ყინვაგამძლეა.

ნიადაგის მომზადება მოლისთვის

ნიადაგის სრულფასოვნად დამშავებაზეა დამოკიდებული მოლის ხარისხი და გამძლეობა. ნიადაგის დამუშავება უნდა მოხდეს შემოდგომაზე ან ზამთარში 15-20 სმ სიმაღლეზე. გაზაფხულამდე ნახნავი იყინება, იფიტება, ბელტები იშლება, ტენიანდება,
სარეველების ძირები და ფესვები - ნაწილობრივ იღუპება. გაზაფხულზე უნდა მოხდეს
ნიადაგის ხელმეორეს გადახვნა, გადაფარცხვა, სარეველებისგან გაწმენდა, ნიადაგის შემადგენლობის, და მისი დანიშნულების შესაბამისად საჭირო რაოდენობისა და სახის
სასუქის შეტანა, რის შემდეგადაც უნდა მოხდეს ნიადაგის გადაფარცხვა.
ნიადაგის ზედაპირი უნდა მოსწორდეს და მიეცეს პროექტით გათვალისწინებული ქანობის ფორმა, დიდი სიზუსტით უნდა მოხდეს ნიადაგის მოსწორება.

თესვის ვადა და წესი

თესვის ნარევის მომზადებისა და ნიადაგის დამუშავების შემდეგ, იწყება თესვა.
თესვის დაწყებამდე ნიადაგის ზედაპირს ხელის ფოცხით საბოლოოდ ასწორებენ, აცლიან
შერჩენილ სარეველებს. თესვისათვის ყველაზე კარგი დროა გახაფხული (მარტი, აპრილი)
ან გვიანი შემოდგომა. ყვავილნარებისა და პარტერებში, ასევე, ყველა იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია მორწყვა, თესვა შეიძლება მაისსა და ივნისშიც.

საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, დოლაბაურის ქუჩა, I ქუჩა, №20ა, №20ბ
ელ. ფოსტა: VK@vklholdings.com

თარგების მოყვანილობისა და ზომის მიხედვით ხდება თესვა ხელით მობნევით ან სათესი მანქანით, წყნარ უქარო ამინდში. თესლი თანაბრად რომ დაგანაწილდეს ფართობზე, დასათესი თესლი იყოფა 2 ნაწილად და თესვა ხდება ორი მიმართულებით,
გარდიგარდმო (სწორი კუთხით). თუ ითესება სხვადასხვა ზომის თესლი (რაც თესვისას
იწვევს არათანაბარ გადანაწილებას), საჭიროა მისი ასევე ორ ნაწილად (სიმსხოს მიხედვით) თესვა გარდიგარდმო. გზის ნაპირები, მოლის ვიწრო ზოლები, პარტერებსა
და ყვავილნარების მცირე ნაკვეთები - ითესება შედარებით სქლად, ვიდრე სხვა ფართობები. თესვის დამთავების შემდეგ 0,5 – 2 სმ სიმაღლეზე თესლს უნდა გადაეყაროს
მიწა და ფრთხილად დაიტკეპნოს.
მშრალ ამინდში, თესლის ამოსვლამდე, საჭიროა მოლის ზედაპირის დანამვა (დაწვიმებით მორწყვა - მცირე ჭავლით, რომ თესლი არ ამოცვივდეს ზედაპირზე). ძლიერ ტენიანი ნიადაგების დატკეპვნა არ არის საჭირო, რადგან იწვევს მიწის ზედაპირის გადალესვას და უარყოფითად მოქმედებს თესლის გაღივებასა და აღმოცენებაზე, მის ზრდა-განვითარებაზე.

მოლის მოვლა

სათანადო და რეგულარული მოვლის შემთხვევაში, მოლმა შეიძლება ათეული წლების განმავლობაში იარსებოს და არ დაკარგოს როგორც დეკორაციული, ასევე ხარისხობრივი მნიშვნელობა, ასევ, არ იქნება საჭირო მისი ხელმეორედ მოწყობა და კაპიტალური რეკომენდაცია.
მოლის სწორი და კარგი მოვლა განაპირობებს ბალახების ნორმალურ ზრდა-განვითარებას. მოლი უნდა იწმინდებოდეს როგორც სარეველებისგან, ასევე ქვებისა და
სხვა ნარჩენებისგან, საჭიროებს სისტემატურ კრეჭას, თიბვას, რწყვას და სხვა.
თიბვა - თანაბარი, ლამაზი და მწვანე ბალახოვანი საფარის მისაღებად საჭიროა მოლზე, ბალახის დროული და სისტემატიური თიბვა, რის შედეგადაც მცენარეები უკეთ
ბარტყობენ და იქმნება შეკრული და მკვრივი კორდი. თიბვის შემდეგ მცენარე ივითარებს
უამრავ ახალ მწვანე ყლორტებს, ხოლო ერთწლიანი სარეველა ბალახი კი - ისპობა.
მოლის გათიბვა უნდა ხდებოდეს მაშინ, როცა ბალახის ნორჩი ყლორტების სიმაღლე 10-12 სმ-ს მიაღწევს, რადგან უფრო მაღალი ბალახი უხეში ხდება, ყლორტების
ქვედა ნაწილი შიშვლდება და ღეროები იწყებენ ყვავილობას. გარდა ამისა,მაღალი ბალახის გათიბვა უფრო რთულია.გათიბვა უნდა წარმოებდეს 12-115 დღეში ერთხელ.
მიუდგომელ ადგილებში ბალახი იკრიჭება ბორდიურის მაკრატლით 2-3 სმ სიმაღლეზე. მოლის ნაპირები, განსაკუთრებით პარტერებსა და ყვავილნარების ირგვლივ,

უნდა გაიკრიჭოს და შესწორდეს საპროექტო ნახაზის შესაბამისად, რადგან მოლი ხშირად
გადაგის ნაპირებზე, დება გზებს, მოედნებს და ქმნის უსწორმასწორო ნაზახებს. გათიბული ბალახი აღებული უნდა იქნას მაშინვე, ვინაიდან დარჩენილი ბალახი იწვევს მოლის გაყვითლებას და ამოხუთვას.

მოლის მორწყვა

წყლის სიმცირე უარყოფითად მოქმედებს მცენარის განვითარებაზე, ყლორტების წარმოამნის უნარზე, მის ხარისხზე, ფოთლის ელასტიურობასა და შეფერილობაზე. რწყვა წარმოებს ისე, რომ ნიადაგის ზედა ფენა გაიჟღინთოს 5- 12 სმ სიღრმემდე. მცირე რწყვა,მხოლოდ ზედაპირის 1 – 3 სმ სიღრმემდე საზიანოც კია, ჭარბი რწყვით კი,
მცენარე ღრმად უშვებს ფესვებს ნიადაგში.
განსაკუთრებით რეგულარული რწყვას მოითხოვს მოლი დათესვის შემდეგ,გაღივების პერიოდში და აღმოცენების ამოსვლის პირველ ხანებში. მცირე ზომის
მოლზე და განსაკუთრებით პარტერებში, რწყვა ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს, ერთხელ ან ორჯერ. დილით ადრე და საღამოთი. დიდი მოლის მორწყვა შეიძლება დღისითაც, თუ იგი ჭარბადაა მორწყული.მორწყვის საჭიროება და რაოდენობა დამოკიდებულია ადგილის კლიმატურ და ნიადაგურ პირობებზე, ასევე ბალახის სახეობაზე.
წყლის საშუალო მოთხოვნილება გვალვიან რაიონებში მთელი სეზონის განმავლობაში - 1მ^2 მოლის მოსარწყავად წაჭიროა საშუალოდ 0,8 -1მ^3 წყალი. მოლის მორწყვა უმჯობესია დაწვიმებით.

მოლის ზედაპირის კვება

ხშირი თიბვით მოლის ნიადაგი იფიტება, ხდება გაეწერება თანდათან. ნათიბი ბალახის მოლი კარგავს საკმაო რაოდენობის საკვებ ნივთიერებებს. ნიადაგის გაღარიბება
დამოკიდებულია დროსა და თიბვის რაოდენობაზე და მკვეთრად იცვლება. მოლის ნორმალურ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად საჭიროა ნიადაგში სასუქის შეტანა (იხ ნივთიერებების, რომლების ნაკლებობაც განიცდის ნიადაგი, ნიადაგური კვლევის დასკვნის საფუზველზე). მაგ: შეიძლება შეტანილი იქნას ნაკელი (გადამწვარი) ან
კომპოსტი - გვიან შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე (1ჰა 200-500 მ^3), იმ ვარაუდით,

რომ ზოლის ზედაპირზე 2-3 სმ სისქით მოეყაროს (თანაბრად უნდა განაწილდეს მთელ
ფართობზე). შესაძლებელია მოლის მორწყვა წუნწუხით (წყალშიგახსნილი ნაკელი), თვეში ერთხელ (1მ^2-ზე 10-20 ლიტრი).

კორდის მოვლა და განახლება

ხშირად მოლის ზედაპირზე ჩნდება ხავსი, ამიტომ საჭიროა კორდის ზედაპირის გაფხვიერება და ხავსის მოშორება. კორდის ზედა ფენის გაფხვიერება ხელს უწყობს ჰაერის
გამტარიანობას ნიადაგის ქვედა ფენაში, აუმჯობესებს მის ფიზიკურ თვისებებს. გაფხვიერება ადრე გაზაფხულზე ხდება (ხელის ფოცხის ან სპეციალური იარაღების გამოყენებით). აჩეჩილი ხავსი და ხმელი ბალახის ღეროები გამოტანილი უნდა იქნას ფართობიდან ფოცხით.

ასეთი მოვლის ღონისძიებების შემდეგ, შედარებით უფრო გაძლიერედება ბარტყობა და დაჩქარდება მკვრივი კორდის შექმნა. მოვლა უნდა ჩატარდეს ყოველწლიურად ან 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც, რადგან ზოგიერთი ბალახი იღუპება
და მოლზე რჩება ცარიელი - მოტიტვლებული ლაქები. თუ მოლის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია (საჭიროა მიზეზის შესწავლა). უნდა მოხდეს მოლის აღდგენა -
რეკონსტრუქცია. ნიადაგი უნდა გადაიბაროს. თუ მოლზე ცოტა ნარგავებია, უნდა მოიხსნას ნიადაგის ფენა 15-20 სმ სიღმეზე და ამოიკრიფოს მრავალსწლიანი სარეველების
დესვები და ფესურები. ნიადაგში, დაფარცხვის შემდეგ, შეტანილი უნდა იქნეს საჭირო
რაოდენობის სასუქი და შემდეგ დაითესოს მოლის ბალახის ნარევი.

შპს “ჯევიკე ჰოსფითალითი”
ID ნომერი 402073368-ის

დირექტორი: */ შიშუ პალ ბუდრაკ /*

01092001279

საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, დოლაბაურის ქუჩა, I ქუჩა, №20ა, №20ბ
ელ. ფოსტა: VK@vklholdings.com

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 2343996

გაცემის თარიღი: 15/12/2015 გაცნობის თარიღი: 15/12/2015

განცხადების ნომერი: AR1356073

შემოსვლის თარიღი: 27/11/2015

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.17.13.045.090
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა დოლაბაური , N 20 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა I დოლაბაურის , N 22 / ქალაქი თბილისი , ქუჩა I დოლაბაურის , N20
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1907.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ნირან პროპერტის დეველოპმენტი" (204564729)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა**
- **ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები**
    - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

დამკვეთი - განმცხადებელი:

- დალი ბენაშვილი პ/ნ 01034005571
- მისამართი: თბილისი დ.ბერიაშვილის ქ. N 21

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმის N56 (03.12.2015წ.) გათვალისწინებით,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოსმთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-105 დადგენილებითდამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად

ბრძანება

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე **დალი ბენაშვილის** განცხადება **NAR1356073 (27.11.2015)** და დამტკიცდეს თანდართული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
2. განემარტოს დამკვეთს, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დაკმაყოფილება აუცილებელია კონკრეტულ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად (მათ საფუძველზე დგება მშენებლობის განხორციელების დოკუმენტები) და იგი ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქ. თბილისი, ჟ. შარტავას №7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები

I. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

- **საკადასტრო კოდი:** #01.17.13.045.090;
- **ფართობი:** 1907 კვ.მ;
- **მიზნობრივი დანიშნულება:** არასასოფლო–სამეურნეო;
- **ქალაქთმშენებლობითი ზონები, რომლებიც ვრცელდება ნაკვეთზე:**

- ფუნქციური ზონა (ზონები)**:საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); საცხოვრებელი ზონა 3**

(სზ-3); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); (იხ.დანართი)

(სსზ-2):განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონა, მათ შორის კარკასი სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით;

(სზ-3): დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები.

(ტზ-1): წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების

კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს. ასევე, დასაშვებია ტროტუარებზე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის, „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ობიექტების განთავსება, ხსენებული დადგენილების, ამ წესებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. (25.11.2014 N 15–29)

- ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონა: ———————————
- განსაკუთრებული სარეკრეაციო ზონა: ———————————
- კულტურული მემკვიდრეობის ზონა: ———————————
- გარემოს დაცვის ზონა:———————————
- ნორმატიული ფასის ზონა: **ზონა #108 (213 ლარი);**

- **სპეციალური რეჟიმები**:———————————
- არქეოლოგიური უბანი/ობიექტი: ———————————

II. ძირითადი მოთხოვნები მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების მიმართ

1. სამშენებლო განვითარების მიზანი

- მშენებლობის სახეობა:**ახალი მშენებლობა**;
- საპროექტო ობიექტი: **მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობა (საცხოვრებელი, ოფისი, კომერციული)**
- <u>ფუნქცია/დანიშნულება:</u> **საცხოვრებელი, საზოგადოებრივი–საქმიანი;**

2. განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები

საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ-2):

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1): **0,7;**
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2): **4,6;**
- მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3): **0,1;**
- მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე: ———————————

საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3):

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1): **0,5;**
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2):**1,5;**
- მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3): **0,2;**
- მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე: ———————————

<u>სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1): აღნიშნულ ზონაში ქალაქგეგმარებითი პარამეტრები არ არის დადგენილი;</u>

შენიშვნა:

1. კოეფიციენტების ანგარიშის არცერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს.

2. კოეფიციენტების ანგარიშის წესი იხ. „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“, მუხლები: 15, 16, 17.

3. მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა

- განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზი: **(იხ.დანართი)**

- დანიშნულება:**ბარათაშვილის სახელობის მარცხენა სანაპიროსთან, შემდგომში გზის მოწყობის პერსპექტივის განსახორციელებლად;**
- შეზღუდვა: **შენობა–ნაგებობა განთავსდეს განაშენიანების რეგულირების ხაზის მიღმა;**

- განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი: ----------
  - დანიშნულება: ----------
  - შეზღუდვა:**——————**

გაფრთხილება:

1. დაცულ იქნეს მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი განაშენიანების რეგულირების ხაზი.
2. დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, შენობა–ნაგებობა განთავსდეს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ-2) -ის არეალში(იხ. დანართი).

- საზოგადოებრივი საზღვრები: **გააჩნია ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრიდან;**
- უკანა ეზო:——————————
- მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვროს **საზოგადოებრივი საზღვრების მხრიდან** *, ფორმულით H=L/Y, სადაც;*

- H - შენობის ფასადის საანგარიშო სიმაღლე;

- L წარმოადგენს:

ა.ა) სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვრის (ქუჩის) მხარეს მდებარე შენობის საანგარიშო ზედაპირის გრუნტის ზედაპირთან შეხების ხაზიდან ქუჩის სიგანის ნახევრის წარმოსახვითი ვერტიკალური სიბრტყის მიმართ პერპენდიკულარულ მანძილს;

ა.ბ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვრის მხარეს მდებარე შენობის საანგარიშო ზედაპირის გრუნტის ზედაპირთან შეხების ხაზიდან საზოგადოებრივი სივრცის საპირისპირო საზღვრამდე (კიდემდე) მანძილის ნახევრის წარმოსახვითი ვერტიკალური სიბრტყის მიმართ პერპენდიკულარულ მანძილს; იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის ნაკვეთი ესაზღვრება უშუალოდ საზოგადოებრივ სივრცეს ან ქუჩას, რომელიც მეორე მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივ სივრცეს;

ა.გ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის უკანა ეზოს მხარეს მდებარე შენობის საანგარიშო ზედაპირის გრუნტის ზედაპირთან შეხების ხაზიდან სამეზობლო საზღვრის წარმოსახვითი ვერტიკალური სიბრტყის მიმართ პერპენდიკულარულ მანძილს.

- Y= წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა:

ბ.ა) 0.30 დასახლებათა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისათვის;

ბ.გ) 0.4 ყველა სხვა ზონისათვის.

შენიშვნა: მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსებისა და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის კონკრეტული წესები იხ. „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-ს VI თავი**.**

III. დამატებითი / სპეციალური მოთხოვნები მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობების) სამშენებლო განვითარების მიმართ

1. საცხოვრებელ ზონებში მიწის ნაკვეთის და სხვა უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე;
2. გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:

- დაცულ იქნას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების“ ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით) მოთხოვნები. გათვალისწინებული იქნეს ლიფტის და პანდუსების მოწყობა უნარშეზღუდულ პირთა

თავისუფალი გადაადგილებისათვის.

3. შენობის საინჟინრო სისტემებით (კონდიცირება, გათბობა-ვენტილაცია და სხვა) უზრუნველყოფა: პრიორიტეტულად მიჩნეულია ცენტრალური სისტემების მოწყობა. სხვა შემთხვევებისთვის იხილეთ ზოგადი (სარეკომენდაციო) მითითებები.

4. ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება:

- მიწის ნაკვეთი საკადასტრო საზღვრებში საჭიროა კეთილმოეწყოს გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური მაჩვენებლის დაცვით;
- მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან ამოძირკვა(ამოღება)-გადარგვის (გარდა ხილ-კენკროვანი ნარგავებისა) აუცილებლობის შემთხვევაში, მიღებულ იქნას შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურისგან.

5. მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობის უზრუნველყოფა: ნებართვის გაცემის თითოეული სტადიზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

შენიშვნა: კონკრეტული წესები იხ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ N57 დადგენილების VIII თავში.

IV. ზოგადი მითითებები და რეკომენდაციები

1. **არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს**:

- საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500) ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით).
- **გათვალისწინებულ იქნეს ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის N56 (03.12.2015წ.) ოქმში დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები, კერძოდ: <u>საპროექტო ობიექტის არქიტექტურული მხარე განხილულ იქნას მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: #01.17.13.040.055) არსებული მშენებარე შენობა–ნაგებობასთან ერთად ერთიან კომპლექსად;</u>**
- ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო კომუნიკაციები და სხვა ხაზობრივი ნაგებობები (არსებობის შემთხვევაში) – დაცულ იქნეს სამშენებლო ნორმები; მათი გადატანის საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილ იქნეს ცნობა/თანხმობა შესაბამისი სამსახურებიდან/მესაკუთრისგან;
- ტერიტორიის გამწვანება;
- სანაგვე ყუთების განსათავსებლად ადგილების შერჩევა;
- გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
- ღია ავტოსადგომ(ებ)ის განთავსება საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში. ამასთან, არაერთგვაროვანი და რთული რელიეფის პირობებში, სატრანსპორტო საშუალებების შენახვის რეკომენდებული სახეობაა ავტოსადგომები რელიეფის გამოყენებით (მიწის ქვეშა ავტოსადგომები);
- შემდგომში ინდივიდუალური გადაკეთების და შენობის იერ-სახის დამახინჯების თავიდან აცილების მიზნით:

- ღიობების დამცავი საშუალებების (ჟალუზების, გისოსების და სხვა) მოწყობის საჭიროების შემთხვევაში, მათ არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა;

- გათბობა-კონდიცირების და სხვა საინჟინრო მოწყობილება-დანადგარების შენობის გარეთ

განთავსების აუცილებლობის შემთხვევაში — ფასადების ვიზუალურად ნაკლებად აღქმადი უბნები, ერთიან სისტემაში. ამასთან, ისინი საჭიროა შეიმოსოს (დიფაროს) დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა). არარეკომენდებულია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

- ანტენების (სატელიტური, რადიო და სხვა) განთავსება სახურავზე. აუცილებლობის შემთხვევაში — შენობის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად უბნებზე;

- აივნებსა და ტერასებზე - ტენტების / საჩრდილობლების მოწყობა, ფასადის ერთიან სისტემაში გადაწყვეტა;

- ხანმედეგი და კარგი გამომსახველობის სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალები, ხოლო სახურავზე — საქალაქო განაშენიანებისთვის შესატყვისი მასალა;
- შენობის მიწისქვეშა სივრცის გამოყენება - საპროექტო ობიექტის ფუნქციის გათვალისწინებით, ნაკვეთის შესაძლებლობის შესაბამისად;
- პირველი სართული/სართულები შესაძლებელია დაიტვირთოს ზონის შესაბამისი საზოგადოებრივი ფუნქციით, არა უმეტეს შენობის საერთო ფართობის 25 %-სა.

შენიშვნა: არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა იხ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მუხლი 47-ში.

2. მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოსადგენ დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნეს:

- მესაკუთრის/ების შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე;
- არსებობის შემთხვევაში იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე;
- მშენებლობის ორგანიზების პროექტის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი, მშენებლობის ეტაპების ხანგრძლივობის გათვალისწინებით;
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდა (საპროექტო ობიექტის განაშენიანების ფართობის მიხედვით 1 კვ.მ-ზე 1 ლარის ოდენობით).
- საინფორმაციო დაფის (ბანერის) შესაბამისად განახლება და ფოტოფიქსაცია (გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან).

შენიშვნა: მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტები იხ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მუხლი 53-ში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია„მშენებლობისნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27მარტის N4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესებით“ და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.